

შპს „კომფორტ ჰაუსი„

ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

დირექტორი: _____

მთავარი ბუღალტერი:

2.90%

შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400163540

მოგება-ზარალის ანგარიშგება

მოგება-ზარალი		2024	2023
ამონაგები	9	2,702,332	3,454,398
თვითღირებულება	10	(1,946,991)	(2,552,821)
საერთო მოგება		755,341	901,577
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	11	(373,724)	(360,756)
საოპერაციო მოგება		381,617	540,821
სხვა ხარჯები	12	-	(8,561)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	12	918	1,563
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება	12	(19,813)	(8,146)
მოგება დაზღვევამდე		362,721	525,677
მოგების გადასახადი		(18,155)	(44,522)
წმინდა მოგება		344,566	481,155
მთლიანი სრული შემოსავალი		344,566	481,155

დირექტორი:

მ. ჯიქია

მთავარი ბუღალტერი:

ა. გიგინეიშვილი


შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400163540


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ბალანსი	2024	2023
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4 2,620	2,777
არამატერიალური აქტივები	4 11	44
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,631	2,821
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5 288,427	372,495
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6 275,280	210,517
მარაგები	7 1,284,530	1,168,477
საგადასახადო აქტივი	8 79,483	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,927,719	1,751,489
სულ აქტივები	1,930,350	1,754,311
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,899,387	1,657,700
სულ კაპიტალი	1,899,387	1,657,700
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8 30,963	81,131
საგადასახადო ვალდებულებები	8 -	15,480
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	30,963	96,611
მთლიანი ვალდებულებები	30,963	96,611
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	1,930,350	1,754,311

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:




შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400163540

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	6,500	1,429,570	1,436,070
წმინდა მოგება		481,155	481,155
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული შემოსავალი		481,155	481,155
გაცემული დივიდენდი		(253,025)	(253,025)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(6,500)		(6,500)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	1,657,700	1,657,700
წმინდა მოგება		344,566	344,566
სხვა სრული შემოსავალი			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	344,566	344,566
გაცემული დივიდენდი		(102,879)	(102,879)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება			-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	1,899,387	1,899,387

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს „კომფორტ ჰაუსი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 19 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია მარნეულის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400163540. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით. შპს „კომფორტ ჰაუსი“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 300 – მდე დასახელების საქონლის რეალიზაციას, ესენია: სხვადასხვა მოდელების და სიმძლავრის გათბობის ქვაბები, სხვადასხვა ზომის პანელური და სექციური რადიატორები, საფართოებელი ავეზები, ბოილერები, საიზოლაციო მილები, კოლექტორები, კანალიზაციის/წყლის მილები და ფიტინგები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების შესყიდვას ახდენს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ახორციელებს იმპორტს იტალიიდან, თურქეთიდან და პოლონეთიდან. კომპანიის ფიზიკური მისამართია ქ.თბილისი კოსმონავტების სანაპირო N21. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, კავთისხევის ქ., №16. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია დავით ჯიჭონაია. კომპანიის დირექტორია დავით ჯიჭონაია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 7 ადამიანი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.


ტერმინების განმარტებები:


აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან

დირექტორი: 

მთავარი ბუღალტერი: 

შპს კომფორტ ჰაუსი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400163540

გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 12 თვემდე. 12 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას, ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.


ფინანსური ვალდებულებები


ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან კასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ

ღირეუტორი: 

მთავარი ბუღალტერი: 

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400163540

ძირითადი საშუალებები

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ავეჯი და სხვა ინვენტარი	12 წელი
სათვალთვალო კამერები	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება


კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.


თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2018 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი


პერიოდი	აშშ დოლარი
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები


• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი:



ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფული სალაროში	1,142	70
ფული საბანკო ანგარიშებზე	287,284	372,425
	288,427	372,495

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საჯარო დებიტორული დავალიანებები	2024	2023
სხვა მოთხოვნები	212,526	210,263
	62,754	254
	275,280	210,517

მარაგები

საქონელი	2024	2023
სხვა მარაგები	1,284,530	1,168,477
	-	-
	1,284,530	1,168,477

ლარში

სავაჭრო ვალდებულებები	30,963	81,131
საგადასახადო აქტივი/ვალდებულებები	(79,483)	15,480
	(48,520)	96,611

ლარში

	2024	2023
მზა პროდუქციის რეალიზაცია	2,702,332	3,454,398
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
	2,702,332	3,454,398

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400163540

ღარში

სხვა კაპიტალიზირებადი ხარჯი

2024	2023
1,946,991	2,552,821
-	
1,946,991	2,552,821

შენიშვნა - 11 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

დარში

ქონების გადასახადი

2024	2023
218,210	216,348
525	480
9,831	5,223
25	11,749
7,340	569
102	102
975	1,357
-	-
10,728	12,475
-	133
121,186	107,493
-	84
4,193	4,315
563	429
46	-
373,724	360,756

შენიშვნა - 12 სხვა ხარჯები

ლარში

განსაკუთრებული ხარჯები

2024	2023
(918)	(1,328)
19,813	9,474
-	(1,563)
-	8,561
18,895	15,144

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წელს დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ;

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

2 gr 1/2